

ეს შემავალი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვათა მარეგისტრაცია ქართულში

1. სალიტერატურო რუსულ ენაში ξ ნიშანს დაკორექტირებული აქვს გამოხატვის მახვილიანი σ სხვადასხვა მდგომარეობაში, ე. ი. სხვადასხვა ბგერითს ვარდობაში: სიტყვის თავიდანში ξ გამოხატავს მახვილიან σ ხმოვანს, რომელსაც წინ უძღვის მეორე სპირანტი χ (დაახლოებით ქართ. ა); მაგ.: *Элка*, *Эж* და სხვა. ასეთივე ბგერითი მნიშვნელობა აქვს ξ ნიშანს წინდებულის შემდეგ აგრეთვე მახვილიან მდგომარეობაში; მაგ.: *подъём*, *приём* და სხვა.

2. სიტყვის შიგნით ξ გამოხატავს მახვილიან σ ხმოვანს, რომლის წინა თანხმოვანი რბილია (პალატალურია) ან დარბილებული (გამალატალეზებული); მაგ.: *у́рныи́*, *щёлка* და სხვა; ან: *ребёнок*, *Будённый*, *Ковалёв*, *Григёв* და სხვა.

3. აღსანიშნავია აგრეთვე სიტყვის შიგნით ξ , რომელიც გამოხატავს მახვილიან σ ხმოვანს, მაგრამ არ მიუთითებს არც რბილსა და არც დარბილებულ წინა თანხმოვანზე; ასეთია χ და ψ თანხმოვნების მოშლევით ξ : *шёлк* (= *шелк*), *жёлушка* (= *жолушка*) და სხვა. ასეთი დაწერილობა შენარჩუნებულია იმ დროიდან, როცა χ და ψ რბილი თანხმოვნები იყო, ახლა კი მათ დარბილებაც არ შეუძლიათ (ან შეუძლიათ იშვიათად).

4. ზემოწამოთვლილი ბგერითი მნიშვნელობები მიიღო ძველმა მახვილიანმა ξ ხმოვანმა რუსული მწერლობის პირველ ხანებში (დაახლოებით XI—XII საუკუნეებში) მაგარი თანხმოვნების წინ. დღევანდელ სალიტერატურო რუსულშიც საერთოდ მოქმედებს იგივე წესი; მახვილიანი ξ მაგარი თანხმოვნის წინ წარმოითქმის როგორც ξ (ივლუსხმება ზემოაღნიშნული მისი ბგერითი მნიშვნელობანი). ამ წესიდან გამონაკლისები აიხსნება ანალოგიის საშუალებით (მაგ.: *несёт* არის *несём*-ის ზეგავლენით მიღებული).

5. რუსულთან ქართულში გადმოტანილი ξ -ს შემცველი სიტყვები უმთავრესად გვარები და საკუთარი სახელებია (*Дёмин*, *Григёв*, *Будённый*, *Аксёнов*, *Могилёв*, *Ковалёв*, *Лёва* და მრავალი სხვა). რუსული წარმოშობის საზოგადო სიტყვათაგან სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება „ტოტა“ (*тётя*) და „თოქიკი“ *Эжики*—თმის კრებვის ერთ-ერთი სახე). სანაგებროდ ძალიან ბევრია ქართულში ევროპული (უმთავრესად ფრანგული) სიტყვები, რომლებიც რუსული ენის გზით შემოსულა ჩვენში: *жонглёр* (ფრანგ. *jongleur*), *монтёр* (ფრანგ. *monteur*), *антрепренёр* (ფრანგ. *entrepreneur*), *режиссёр* (ფრანგ. *régisseur*), *партнёр* (ფრანგ. *partenaire*).

6. ქართულში ξ -ს ვაღმორება სხვადასხვაგვარად ხდებოდა ამის მიხედვით, მხოლოდ სმენათა ვაღმორებული (როგორც ტოტა, თოქიკი, რეჟისორი), თუ მწიგნობრული გზით (გრაფიკის ზეგავლენით), როგორც მონტიორი, კოვალოვი, გრინოვი და სხვა.

7. ე-ს გადმოღება ყოველთვის ერთი და იმავე ნიშნით ძნელია, ვინაიდან შას სხვადასხვა ბგერითი მნიშვნელობა აქვს და ასეთი რამ დაარღვევს ქართულში მართლწერის შედარებითს სიმარტავეს.

უფრო რთული მდგომარეობაა, როცა სიტყვის შიგნით ე მოსდევს ისეთ თანხმოვნებს, რომელთაც რუსულში ორი ვარიანტი აქვთ (რბილი და მკვარძი); ქართულ თანხმოვნებს კი ასეთი თვისება არა აქვთ. ასეთ პირობებში შესაძლებელია ორგვარი გამოსავალი:

1. იწერებოდეს იო, 2. იწერებოდეს მხოლოდ ო.

ამ ორი შესაძლებლობიდან თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა გამოყენებულ იქნეს პირველი.

რუსული ან რუსულის გზით შემოსული სიტყვების ე ქართულში გადმოიცეს იო კომპლექსით, მაგრამ ზოგიერთი თანხმოვნის შემდეგ (როგორცაა: ж, ш, ч) იგი გადმოიცეს მხოლოდ ო-თი; სახელდობრ: жე—ყო, ше—შო, че—ჩო, რადგანაც ამ უკანასკნელთ რუსულში აქვთ მხოლოდ თითო ვარიანტი, ж, ш, ч—მკვარძი, ч-ს—რბილი.

მაშასადამე, იქნება ასე:

1 Ёлков — იოლკოვი... Будённый — ბუდიონი, Ковалёв — კოვალიოვი, Гринёв — გრინიოვი... Монтиори, Мартинори, Гастроლიორი, Импортiori, Контрლიორი, Поноირი, ჩეზონიორი, გრავიორი, სუფლიორი...

შენიშვნა. ისეთი უკვე დაკვიდრებული სიტყვები, როგორცაა: რეჟისორი, ტუბერკულოზი, დარჩება ო-თი.

2 Жёлтая — ჟოლტაია (მდინარის სახელია), Чёрный — ჩორნი (გვარია), Шёлков — შოლკოვი (გვარია), Щёголев — შჩოგოლევი (გვარია), დირიჟორი, კომივოიაჟორი და სხვ.